

# გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი      ბ ა რ ა თ ი

## 1. შესავალი

ქ. ლანჩხუთი, ხოფერიას ქუჩაზე, მდ. ორაგვისპირზე გენო ჩხაიძის სახელობის სამანქანე ხიდის მოწყობისა და მისასვლელი გზის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაცია შედგენილია შ.კ.ს. “ვეგა+”-ს მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტთან 2021 წლის 05 მაისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №105 ხელშეკრულების საფუძველზე. შ.კ.ს. “ვეგა+”-ს მიერ ჩატარდა სათანადო საკვლევაძიებო ტოპოგეოდეზიური, საინჟინრო-გეოლოგიური, პიდროლოგიური, ვიზუალური დათვალიერებისა და აზომვითი სამუშაოები.

სამუშაოები ჩატარებულია მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად «СНиП 2.05.03-84. Мосты и трубы. Нормы проектирования», «СНиП III-43-75. Мосты и трубы. Правила производства и приемки работ» და სხვა.

ხიდის დატვირთვის კლასი A-8, ხიდის დასაშვებ დროებით შვეულ დატვირთვად განსაზღვრულია H-10 საავტომობილო დატვირთვა, 10 ტონიანი მანქანების კოლონაში ჩართული ერთი 16,9 ტონიანი ავტომობილით, და НГ-60 მუხლუხა დატვირთვით,

პროექტის მიზანია აღნიშნულ მონაკვეთზე საავტომობილო ხიდის მშენებლობა.

## 2. არსებული სიტუაციის დახასიათება

აღნიშნულ მონაკვეთზე დღეისათვის საავტომობილო მოძრაობა შეზღუდულია, ვინაიდან არსებული ლითონის ხიდი ამორტიზირებულია და ექვემდებარება დემონტაჟს. არსებული სიტუაციდან გამომდინარე აუცილებელია საავტომობილო ხიდის მშენებლობა.

## 3. რაიონის ბუნებრივი პირობები

რაიონის კლიმატი მშრალი, ზომიერად გრილი, კლიმატური მონაცემები აღებულია რაიონის კლიმატური პირობების შესახებ პნ 01.05-08 (“სამშენებლო კლიმატოლოგია”). კლიმატური ქვერაიონი III ბ.

- |  |         |
|--|---------|
| 1. პარკის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა                    | -20     |
| 2. პარკის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა                   | +39     |
| 3. პარკის საშუალო წლიური ტემპერატურა                           | +13,8   |
| 4. პარკის შეფარდებითი ტენიანობა (საშუალო წლის განმავლობაში 78% |         |
| 5. ნალექების რაოდენობა წელიწადში                               | 1980 მმ |

6.	ნალექების რაოდენობა დღე-დამეში	250 მმ
7.	ირიბი წვიმების რაოდენობა წელიწადში	824 მმ
8.	თოვლის საფარის წონა	0.5 კპა
9.	თოვლის საფარის დღეთა რიცხვი	14
10.	ქარის მახასიათებლები, ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი წელიწადში ერთხელ	27 მ/წელიწად
	5 წელიწადში ერთხელ	32 მ/წელიწად
	10 წელიწადში ერთხელ	34 მ/წელიწად
	15 წელიწადში ერთხელ	35 მ/წელიწად
	20 წელიწადში ერთხელ	36 მ/წელიწად
11.	ქარის წევის ნორმატიული მნიშვნელობები:	
	5 წელიწადში ერთხელ	0.6 კპა
	15 წელიწადში ერთხელ	0.73 კპა
12.	გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე ყველა სახის გრუნტებისთვის  გეოგრაფიულად საკვლევი ტერიტორია მდებარეობს მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში. მეტეოსადგურის მდებარეობა (უახლოესი მეტეოსადგური „ლანჩხუთი“) სიმაღლე ზღვის დონიდან 298.	0 სმ

უბნის სეისმურობად პნ 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა“-ს მიხედვით  
მიღებულ იქნას (**სკალა MSK64**) 7 ბალი. სეისმურობის უგანზომილებო  
კოეფიციენტი  $A=0.11$ .

სიმაღლეთა პირობითი ნიშნულები სამშენებლო მოედანზე და მის  
მიმდებარედ იცვლებიან 20.0-23.5 მ-ის ფარგლებში.

#### 4. საპროექტო გადაწყვეტილება

საპროექტო ნაგებობა წარმოადგენს ერთ მალიან, 9 მეტრიანი მალით, რკ/ბეტონის კონსტრუქციის ხიდს, ასფალტობეტონის სავალი ნაწილით. ხიდის ბურჯები, სარეგულაციო და საქარადე კედლები და გადასასვლელი ფილა მონოლითური რ/ბეტონის, ხიდის ტროტუარები დაცულია ფოლადის მოაჯირით, ხოლო მდინარის კალაპოტი სარეგულაციო კედლებით.

ხიდის ბურჯები მცირე ჩაღრმავების, მონოლითური რ/ბეტონის. ხიდის ბურჯი და სარეგულაციო კედლები მცირე ჩაღრმავების. ხიდის მალი რკ/ბეტონის 9 მეტრიან 5 კოჭით, ასფალტობეტონის სავალი ნაწილით. ქვაბულის შევსების შემდეგ ხიდის ორივე მხარეს ეწყობა სარეგულაციო კედელი. ასევე ხიდის ორივე მხარეს ეწყობა გრუნტის გზა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით, რომელიც უნდა დაიტკიპნოს ყოველი 0.25 მ-ს შემდეგ.

გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის პირობები მოცემულია მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შესაბამის თავებში.

შეადგინა:



ლ. იმედაძე